თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3431590

ნომერი: AR1525611

თარიღი : 23.07.2017

გაცემის თარიღი : 27.07.2017

გაცნობის თარიღი : 27.07.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 93 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იაგორ კალანდაძე პ/ნ 01024021520
- ტაშკენტის 18 ბინა# 7

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: მიწის ნაკვეთზე (ს/კ N 01.18.09.006.018), თქვენს მიერ მონიშნულ ნაწილზე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). გაცნობებთ, რომ სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) – წარმოადგენს სატრანსპორტო ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში – ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს, მიწისქვეშა შენობა-ნაგებობებს). (25.11.2011 N 12-55). სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) – წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ. ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა) აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: (25.11.2011 N 12-55) ა) განათების; ბ) სარწყავი სისტემის; გ) სარეკლამო ბილბორდის;დ) დეკორატიული გაფორმების ობიექტის;ე) კიბეების, გზების, ბილიკების.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენს მიერ მონიშნულ ადგილას დაუშვებელია სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. შესაძლებელია შენობა განათავსოთ (პავილიონის ტიპის კაფე) სპეციალურ ზონა 1 -ში, ან საცხოვრებელ ზონა 5-ში. სამ,სახურის მიერ გადმოგზავნილ დანართზე დაიტანეთ საპროექტო შენობა და აღნიშნული დოკუმენტი ატვირთეთ ფაილის მიმეგრაბის ველში.

ასევე, საჭიროა წარმოდგინოთ განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, მესაკუთრის მიერ გაცემული მინდობილობა ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე, შესაძლებელია უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.
მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით. საჭიროა წარმოდგინოთ იპოთეკის საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში იპოთეკარის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.